მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი **N 01.18.03.069.002**

ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

განცხადების რეგისტრაცია
N 892012166864 - 24/12/2012 17:17:06

მომზადების თარიღი
24/12/2012 18:40:13

საკუთრების განყოფილება

ზონა	სექტორი	კვარტალი	ნაკვეთი
თბილისი	კრწანისი		
01	**18**	**03**	**069/002**

მისამართი: ქალაქი თბილისი , აღმართი ბეთლემი , N 16ა

ნაკვეთის საკუთრების ტიპი: თანასაკუთრება
ნაკვეთის ფუნქცია: არასასოფლო სამეურნეო
დაზუსტებული ფართობი:542.00 კვ.მ.
ნაკვეთის წინა ნომერი:**69;**
შენობა-ნაგებობის ჩამონათვალი:N1

მესაკუთრის განყოფილება

განცხადების რეგისტრაცია : ნომერი 892012166864 , თარიღი 24/12/2012 17:17:06
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 24/12/2012

უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი:

- უძრავი ქონების საკუთრებაში მიღება-ჩაბარების აქტი N121348883 , დამოწმების თარიღი:21/12/2012 ,ნოტარიუსი ც. ბერიძე

მესაკუთრეები:
შპს "ძველი თბილისი"., ID ნომერი:406032350
და თანამესაკუთრე

მესაკუთრე:	**აღწერა:**
შპს "ძველი თბილისი".	საერთო ფართი 275.17 კვ.მ. და საპირფარეშო საერთო სარგებლობაში
და თანამესაკუთრე	

იპოთეკა

საგადასახადო გირავნობა:

რეგისტრირებული არ არის

ვალდებულება

ყადაღა/აკრძალვა:

რეგისტრირებული არ არის

მოვალეთა რეესტრი:

რეგისტრირებული არ არის

"ფიზიკური პირის მიერ 2 წლამდე ვადით საკუთრებაში არსებული მატერიალური აქტივის რეალიზაციისას, აგრეთვე საგადასახადო წლის განმავლობაში 1000 ლარის ან მეტი ღირებულების ქონების საჩუქრად მიღებისას საშემოსავლო გადასახადი გადახდას ექვემდებარება საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1 აპრილამდე, რის შესახებაც აღნიშნული ფიზიკური პირი იმავე ვადაში წარუდგენს დეკლარაციას საგადასახადო ორგანოს. აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობა წარმოადგენს საგადასახადო სამართალდარღვევას, რაც იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს საგადასახადო კოდექსის XVIII თავის მიხედვით."

ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში, შესაძლებელია სარეგისტრაციო სამსახურში მოსვლის გარეშე, ელექტრონულად წარმოადგინოთ განცხადება: http://public.reestri.gov.ge ან დაგვიკავშირდეთ: 2 405 405; 595 33 71 81; შესწორებული ამონაწერის მიღება შეგიძლიათ ვებ გვერდზე, ელექტრონულად, ასევე სარეგისტრაციო სამსახურში ,"ლიბერთი ბანკის" ნებისმიერ ფილიალში ან "პრივატბანკის" სწრაფი გადახდის აპარატიდან.

ბეთლემის აღმართი №16ა

(წინასწარული ისტორიულ-არქიტექტურული კვლევა)

საკვლევი ტერიტორიის განსაზღვრა

საკვლევი შენობა და მისი მიმდებარე ტერიტორია თბილისის უძველეს უბანში ქვემო კალაში - ბეთლემის კლდისუბანში მდებარეობს, სოლოლაკის ქედის ერთ-ერთ ძლიერად დაფერდებულ ტერასაზე, რომელიც სამი მხრიდან არის მოსაზღვრული – დასავლეთიდან ბეთლემის აღმართის ცნობილი კიბით, რომელიც 1850 წელს არქიტექტორ ტიმოთე ბელოის პროექტის მიხედვით აიგო, ჩრდილო-აღმოსავლეთით ასკანის III ჩიხით, ხოლო სამხრეთით ზემო ბეთლემის ეკლესიის ტერასის საყრდენი კედლით.



ქვემო კალა (წინა პლანზე ბეთლემის უბანი). XIX საუკუნის ბოლო.

ქვემო კალას ისტორიული განვითარების მოკლე მიმოხილვა

კალა ქალაქის დაარსების დროიდან იყო გაშენებული. ის წარმოადგენდა შუა საუკუნეების თბილისის მთავარ უბანს და მოიცავდა ტერიტორიას მდ. მტკვარს, ნარიყალასა და ახლანდელ დადიანის, პუშკინისა და ბარათაშვილის ქუჩებს შორის.



საერთო ხედი. XIX საუკუნის ბოლო.

კალას ქვემო და ზემო უბნად ჰყოფდა მისი მთავარი არტერია – შუა ბაზარი (გვიანდელი სომხის ბაზარი, დაახლოებით ემთხვევა ახლანდელ ლესელიძის ქუჩას). ქვემო კალაში გვიან შუა საუკუნეებში ძირითადად სომხები ცხოვრობდნენ და მათი ეკლესიების უმრავლესობაც აქ იყო თავმოყრილი (ნორაშენი, ფეთხაინი, სურბ-სტეფანოზი, მოღნინი, წმ. კოზმა და დამიანე, ჯიგრაშენი და სხვა). სხვადასხვა ქუჩებზე სახლობდნენ მართლმადიდებელი ქართველები, ბერძნები, ებრაელები და მუსლიმები. გარკვეულ პერიოდში არსებობდა ზოროასტრელთა თემიც, რომელსაც თავისი სალოცავი – ათეშგა ჰქონდა კლდისუბანში.

ქვემო კალას ცენტრი იყო – მტკვრის ნაპირთან ახლოს მდებარე დიდი მოედანი, რომელიც დღევანდელი ვახტანგ გორგასლის მოედანს ემთხვეოდა. XVIII საუკუნეში ის მოიხსენიებოდა როგორც ციხის ან ქვემო მოედანი, ხოლო შემდეგ „თათრის მოედნად“. XIX საუკუნეში უბრალოდ „მეიდანს“ უწოდებდნენ.

კალას ორივე უბანი, თავის მხრივ, იყოფოდა მრავალ მიკროუბნად, რომელთაც სახელები იქ მდებარე ეკლესიების, სხვა მნიშვნელოვანი შენობების ან მოსახლეთა მიხედვით მიიღეს. ქვემო კალაში იყო ფრანგების უბანი (კათოლიკური ეკლესიის მიმდებარე ტერიტორია, ახლანდელი აბესაძის ქუჩა), ჯიგრაშნისუბანი (ახლანდელი ლესელიძისა და აბესაძის ქუჩების კუთხესთან, სადაც იდგა ჯიგრაშნის ეკლესია), კოზმნისუბანი (ახლანდელი ასათიანისა და ახოსპირელის ქუჩების კუთხესთან, სადაც იდგა წმ. კოზმასა და დამიანეს ეკლესია), მოღნინისუბანი (მოღნინის ეკლესიასთან), ნორაშნისუბანი (ნორაშნის ეკლესიასთან), ციხისუბანი (ნარიყალას ქვემოთ, ახლანდელ სამღებროს ქუჩამდე) კლდისუბანი (მაღლა მთის ფერდზე, ბეთლემის ეკლესიის გარშემო და უფრო აღმოსავლეთითაც), და სხვა.

საკულტო ნაგებობების გარდა, ქვემო კალაში საზოგადოებრივი დანიშნულების შენობები თითქმის არ ყოფილა. განაშენიანების უდიდეს ნაწილს საცხოვრებელი სახლები შეადგენდნენ. აღა-მაჰმად-ხანის 1795 წლის შემოსევის დროს ისინი მთლიანად განადგურდა და უბანი ხელახლა გაშენდა XIX საუკუნეში. ამჟამად ქვემო კალაში მდგარი შენობების დიდი უმეტესობა XIX საუკუნის II ნახევარსა და XX საუკუნის დასაწყისს განეკუთვნება, მაგრამ რამდენადაც საცხოვრებლების აღდგენა ძველის საფუძარზე ხდებოდა, დიდწილად შენარჩუნებული იქნა ვიწრო უსწორმასწორო ქუჩების შუასაუკუნეობრივი ქსელი. განაშენიანება ძალიან ინტენსიური იყო, მიწის ნაკვეთების ირეგულარულ კონფიგურაციას რელიეფის თავისებურება განაპირობებდა.

მნიშვნელოვანია, რომ კლდისუბნის განაშენიანებამ დღემდე შეინარჩუნა აღმოსავლური ქალაქისათვის დამახასიათებელი არქიტექტურული სახე.

საბჭოთა პერიოდის მასშტაბური მშენებლობები ქვემო კალას ნაკლებად შეეხო. ამ დროის საცხოვრებელი სახლებიც ძალიან ცოტაა. აქ განხორციელებული ყველაზე მნიშვნელოვანი ურბანული პროექტები იყო ლესელიძის ქუჩის მოწყობა სომხის ბაზრის ადგილას 1925 წელს და მეიდნის რეკონსტრუქცია მეტეხის ახალი ხიდის მშენებლობასთან დაკავშირებით 1950-იან წლებში.

პოსტსაბჭოთა პერიოდში ქვემო კალაში გაჩნდა სახლები, რომლებიც ისტორიულ უბნებში მიღებული სამშენებლო ნორმების სრული დარღვევით აიგო და მკვეთრად შეცვალა ძველი განაშენიანების გეგმარებითი სტრუქტურა. ყველაზე

დამახასიათებელი მაგალითია უსახური, მრავალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსები ასათიანის ქუჩისა და ბეთლემის შესახვევის (ცნობილი კიბე-ქუჩის) კუთხეში, საპროექტო ტერიტორიასთან ახლოს.



ასათიანის ქ. №14.

უკანასკნელ ათწლეულებში ისტორიულ შენობათა მდგომარეობა მკვეთრად გაუარესდა. ეს პროცესი გამოიწვია წლების მანძილზე შენობებისა და კომუნიკაციების შეუკეთებლობამ და მოუვლელობამ. პროცესი განსაკუთრებით კი დააჩქარა 2002 წლის მიწისძვრამ, რომლის შემდეგაც ათეულობით სახლი დანგრევის საშიშროების წინაშე აღმოჩნდა.

საპროექტო შენობა და მიმდებარე ტერიტორია

საკვლევი შენობა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სეგმენტია იმ შენობათა რიგში, რომელიც ასათიანის ქუჩასთან იწყება – ფეთხაინის ცნობილი ქუჩა-კიბის გავლით უკავშირდება კლდისუბნის ზედა ტერასებს და ბეთლემის აღმართისა და გომის ქუჩის, ან ასკანის ქუჩისა და ასკანის III შესახვევის გავლით ისევ ქვემოთ ეშვება. ამ ტიპის შენობების არსებობა იმთავითვე განსაზღვრავდა კლდისუბნის ურბანული სტრუქტურის ხასიათს.



ბეთლემის კლდისუბანი. 1980-იანი წლები.

თავისი განსაკუთრებული მდებარეობის წყალობით საკვლევ შენობას, ბეთლემის უბნის კონტექსტში, განსაკუთრული ურბანული და მხატვრული ღირებულება გააჩნია - ორსართულიანი მარტივი ანფილადური საცხოვრებელი სახლი XIX საუკუნის შუა ხანას განეკუთვნება, თუმცა უდაოდ შეიცავს გვიანი შუასაუკუნეების ფენებს.

მიუხედავად ძლიერი დაზიანებისა ბეთლემის აღმართის №16ა-მა სახლმა შეინარჩუნა მხატვრულ-არქიტექტურულად ღირებული ელემენტები და ურბანული მნიშვნელოვანება. პირველ რიგში უნდა აღინიშნოს შენობის რთულ რელიეფზე მდებარეობა და ზედმიწევნით გათვლილი ადგილი მიმდებარე განაშენიანებაში.



ბეთლემის აღმართი №16ა. დასავლეთ ფასადი.

ის ზურგის ყრუ კედლით ებჯინება ზემო ბეთლემის ეკლესიის ტერასის საყრდენ კედელს და მხოლოდ ორქანობა სახურავის მცირე სიმაღლით სცდება მას.

სახლს ორი მისასვლელი აქვს - ასკანის III ჩიხის ქვედა ტერასიდან და ბეთლემის აღმართის ქუჩა-კიბის გავლით, რომლის შუა ბაქანს საპროექტო ტერიტორიასთან მისასვლელი "ბილიკი" აგრძელებს.

სახლის ერთ-ერთი უმთავრესი ნაწილია ღია აივანი. აივნებით გახსნილი მთავარი, გრძივი ფასადი ჩრდილოეთით არის ორიენტირებული, საიდანაც ხელისგულივით იშლება ძველი ქალაქის მოულოდნელი ხედები. მეორე

სართულის აივანი აღმოსავლეთისა და დასავლეთის მოკლე ფასადებზეც გადადიოდა. ერთი შეხედვით მარტივი სივრცით-გეგმარებითი სტრუქტურა გართულებულია შენობის დასავლეთ ნაწილში ჩართული ძველი ფენების ფრაგმენტებით, რომლებიც შენობისა და მისი ურბანული სივრცის განიყოფელი ნაწილია. პირველი სართულის აივნის კუთხესთან ძველი ნაგებობის ფრაგმენტია, რომლის ნახევარწრიული მოცულობა ბეთლემის აღმართის №16ა სახლის ზურგის ფასადის უკან არსებული ძველი კედლის საყრდენ ბურჯს წარმოადგენდა.



ბეთლემის აღმართი №16ა სახლის მიმდებარე კედელი.

კედელი გაიწმიდა, ჩაუტარდა რეკონსტრუქცია და დღევანდელი სახით გამოვლინდა ბეთლემის უბნის რევიტალიზაციის პროექტის ფარგლებში ჩატარებული სამუშაოებისას.

სახლი და ძველი ნაგებობის ფრაგმენტები კვადრატული აგურითაა აშენებული. უკანა კედლებში შერეულია ფლეთილი ქვა.

ბეთლემის აღმართი №16ა სახლი ძალიან დაზიანებულია და ნგრევის პირასაა. შენობის კედლები ფასადზე შელესილია და მოკლებულია მხატვრულ დამუშავებას, ღიობები სადაა, გაფორმების გარეშე. სადა აივნის მოაჯირი ყრუდაა შეფიცრული. საყრდენი სვეტები კუთხეებჩამოთლილია, კაპიტელების გარეშე. ასევე სადაა ხის კიბე, რომელიც პირველ სართულს მეორესთან აკავშირებს, მისი მოაჯირი მარტივი, პარალელური ძელაკებისგან შედგება.



ბეთლემის აღმართი №16ა. ეზოს ფასადი.

სახლის თავდაპირველი ბანური გადახურვა მოშლილია და მის ნაცვლად ცალფერდა გადახურვაა მოწყობილი. თიმცა მიუხედავად წვრილ-წვრილი

მოცულობების მიშენებისა და გადაკეთებისა სახლი დღესაც თავდაპირველი მოცულობით დგას.



ბეთლემის აღმართი №16. აღმოსავლეთის ფასადი.

ეზოს ფასადი სახეცვლილია სხვადასხვა დროის კუსტარული დანამატებით. სახლს ღია ეზო აქვს, რომელიც ნაწილობრივ შემოფარგლულია ძველი კედლის ფრაგმენტით. ეზოს ტერიტორიაზეა მოქცეული შენობის აღმოსავლეთით მდებარე, საყრდენი კედლის საყურადღებო მონაკვეთი თაღოვანი ნიშებით და მიწის ქვეშ დაცული კამაროვანი გადახურვის მქონე ადრეული სათავსით.

სახლის ინტერიერებიც სადაა – კიდურა და შუა სქელ, მზიდ კედლებში მოწყობილია განჯინები. წინა კედლებშიც ფანჯრების ქვეშ განთავსებულია თახჩები. აღმოსავლეთით, კედლის სისქეში მოწყობილი იყო თავდაპირველად

არსებულ ბანზე ასასვლელი შიდა კიბე. მისი საფეხურები დღეს დაფარულია ფიცრით.



ბეთლემის აღმართი №16. პირველი სართული.

შენობის ტექნიკური მდგომარეობა ძალიან მძიმეა – მზიდი კონსტრუქციები ჩამოშლილია, კედლები ბევრ ადგილას არის გადახსნილი. დაზიანებულია კონსტრუქციები – გადახურვის მალები, შუაკედლისები, ღიობთა მალები, სახურავი და ჩამოშლილია იატაკის ხის მზიდი სისტემა. ზურგის კედელი ძლიერ დანესტიანებულია და ინტერიერში ჩამოცვენილია აგურის წყობა. დაზიანებულია ხის საყრდენი კონსტრუქციები – სვეტები და კოჭოვანი სისტემა დარღვეული და გამოფიტულია. მწყობრიდან არის გამოსული წყალ-კანალიზაცია და წლების განმავლობაში საძირკველი ივსება წყლით.

1999-2000 წლებში ბეთლემის უბნის კომპლექსური კვლევის ფარგლებში, გ. ჭანუყვაძის მიერ შესრულებულ შენობის კონსტრუქციულ დახასიათებაში აღნიშნულია, რომ რომ შენობას განუცდია გვიანდელი გადაკეთებები: მიშენებულია სათავსოები, აივნები ზოგან შუშაბანდად არის გადაკეთებული და ა.შ.; სახეზეა საძირკვლების დაჯდენა და წაცოცება, აღინიშნება გამჭოლი დახრილი ბზარები კედლებში და შუაკედლისებში, ბათქაშის მასობრივი მოვარდნა, გადახსნილია ზოგიერთი კუთხის და მზიდი კედლების გადაკვეთის ადგილები, შენობის მთელ სიმაღლეზე არის გამჭოლი ვერტიკალური ბზარები.

დასკვნა და რეკომენდაციები

ადგილმდებარეობის წყალობით შენობა მაღალ მხატვრულ-არქიტექტურულ ღირებულებას დღესაც ინარჩუნებს (თუმცა სამწუხაროდ ის აღრიცხული არ არის არქიტექტურულ ძეგლად) – სახლი კარგად ერწყმის ზემო ბეთლემის ეკლესიის საყრდენი კედლის ძველ ფრაგმენტებს, რომელთან ერთადაც ხელსაყრელ არქიტექტურულ კონტექსტს ქმნის. მისი მხატვრული სახის აღდგენა შესაძლებელია მდიდარი ისტორიული დოკუმენტაციისა და აზომვის შედეგად გამოვლენილ ინფორმაციაზე დაყრდნობით.

- საკვლევ ტერიტორიაზე ყოველგვარი ჩარევისას გათვალისწინებული უნდა იქნას, რომ ბეთლემის შესახვევი №16ა, თავისი მდებარეობის წყალობით, მხატვრულად და ისტორიულად ღირებულ შენობას წარმოადგენს.



- მძიმე კონსტრუქციული მდგომარეობის გამო (რომელიც ჯერ კიდევ 1999-2000 წლებში არის დაფიქსირებული – თბილისის 2002 წლის მიწისძვრამდე, რომელმაც ძალიან დაამძიმა თბილისის ისტორიული

უბნების მდგომარეობა) განზრახულია შენობის დემონტაჟი. მხედველობაშია მისაღები სახლში მცხოვრები ოჯახის გაუსაძლისი საყოფაცხოვრებო პირობები.

- ამ ადგილას ახალი შენობა უნდა აღდგეს ძველის ყველა მთავარი არქიტექტურული მახასიათებლის გათვალისწინებით. ახალი არქიტექტურული გადაწყვეტა მკაცრ ჩარჩოებში უნდა მოექცეს და ის არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაუპირისპირდეს კლდისუბნის და ზოგადად კალას უბნის განაშენიანების ხასიათს.

- საპროექტო ტერიტორია არქეოლოგიურად ძალიან სენსიტიურია. დემონტაჟის პარალელურად და მშენებლობის დაწყებამდე აქ უნდა ჩატარდეს არქეოლოგიური კვლევა-ძიება და მოხდეს დეტალური ფოტო-ფიქსაცია. თუ გამოვლინდება ადრე მდგარი შენობის ნაშთები, შეიძლება მათი ჩართვა განახლებულ შენობაში. ამასთან, ყურადღება უნდა დაეთმოს შემორჩენილი არქეოლოგიური ფენების გამოვლენას და მათ დაცვას.

- არსებული შენობის ანალოგიური მოცულობის და მისი მხატვრულ-არქიტექტურული სახის აღდგენის შემთხვევაში ის არ დაარღვევს საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებული გარემოს სივრცით-არქიტექტურულ სტრუქტურას.

- პროექტირებისას საგანგებო მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს არსებულ სიტუაციას. ბეთლემის ქ. №16ა-სი მნებარე შენობა თბილისის უძველესი უბნის მრავალ საგულისხმო თავისებურებას ავლენს, როგორც შიდაუბნური ქალაქმშემებლობითი დაგეგმარების, ისე მხატვრულ-არქიტექტურული თვალსაზრისით - მხედველობაშია მისაღები, როგორც უბნის განაშენიანების ზოგადი ხასიათი, ისე საპროექტო შენობის არქიტექტურული მოცულობა და მისი საყურადღებო მდებარეობა. ამასთან, ჯერ ჯიდევ შესაძლებელია შენობის ავთენტური სტრუქტურის მახასიათებლების გამოვლენა.

- ასევე მნიშვნელოვანია შენობის თავდაპირველი სახით – ბანური გადახურვით აღდგენა: ICOMOS საქართველოს ეროვნული კომიტეტის მიერ

“ბეთლემის უბნის კონსერვაციის გეგმა – ჩარევის სახელმძღვანელო პრინციპების” შემუშავებისას ხელოვნებათმცოდნე მანანა სურამელაშვილის მიერ ჩატარებულ სახელოვნებათმცოდნეო კვლევაში აღნიშნულია: “ამ მიდგომას განაპირობებს სახლის აბსოლიტურად გამორჩეული ადგილმდებარეობა. საარქივო ფოტომასალა ნათლად აჩვენებს, რომ სწორედ ხელსაყრელი მდგომარეობის გამო, ნაგებობის ბანი ორგანულად ერწყმოდა ზემო ბეთლემის ეკლესიის ტერასას და მთლიანად იყო ჩართული ბეთლემის უბნის ამ საკვანძო სივრცის ორგანიზებაში. ბანური გადახურვის აღდგენა აქ, ერთგვარი სიმბოლო იქნება იმ მხატვრული სახისა, რომელიც ასე დამახასიათებელი იყო კლდისუბნისათვის XIX საუკუნის პირველ ნახევარში. თუმცა ბანური გადახურვის აღდგენა ამ სახლზე უფრო გამონაკლისი უნდა, და არა პრინციპული მიდგომა უბნის მხატვრული სახის აღდგენისას. თანამედროვე ცხოვრების რიტმის და ბანური გადახურვის ტრადიციული მეთოდის მოვლა-პატრონობის სირთულის გათვალისწინებით, ბრტყელი გადახურვის მოწყობაში დასაშვებია თანამედროვე თავსებადი ტექნოლოგიის შერჩევა და გამოყენება”.

- აუცილებელია ნაგებობის მიმდებარე საყრდენი კედლის წინ ტერიტორიის გაწმენდა და საყრდენი კედლის შერჩენილი ნაწილის რესტავრაცია.
- ამ კვანძის მოწესრიგება მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ბეთლემის კლდისუბნის გასაჯანსაღებლად, არამედ აქ ტურისტული პოტენციალის გაზრდის მიზნითაც - შენობისთვის და მიმდებარე ტერიტორიისთვის ისტორიული სახის დაბრუნება პირველ რიგში ქალაქის ინტერესებში შედის.

ხელოვნებათმცოდნე
მარინა ხატიაშვილი

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ვ. ბერიძე, თბილისის ხუროთმოძღვრება, 1801-1917, თბილისი, ტ. I, 1960, ტ. II, 1961.
2. ვ. ბერიძე, XVIII საუკუნის თბილისი ვახუშტი ბაგრატიონის გეგმის მიხედვით, ი. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის შრომები, თბილისი, 1947,
3. მ. ბერძნიშვილი, თბილისის გარეგანი სახე XVIII საუკუნეში, თბილისი, 1965,
4. თ. ბერიძე, ძველი თბილისის გარეუბნების ისტორია, თბილისი, 1977,
5. მ. ბერძენიშვილი, თბილისის გარეგანი სახე XVIII საუკუნეში, თბილისი, 1965,
6. მ. კარბელაშვილი, ს. კინწურაშვილი, ნ. ჯანბერიძე, თბილისის ხუროთმოძღვრული გზამკვლევი, თბილისი, 1958.
7. საქართველოს ძველი ქალაქები: თბილისი, მ. ბულიასა და მ. ჯანჯალიას გამოცემა, თბილისი, 2006.
8. თბილისის ისტორიულ-კულტურული საყრდენი გეგმა, 2006-2007.
9. თბილისი, კალა - ბეთლემის უბნის რევიტალიზაცია. პროგრამის ანგარიში 2000-2010, თბილისი, 2011.
10. Т. Квирквелия, Архитектура Тбилиси, Тбилиси, 1982.
11. В. Цинцадзе, Тбилиси, Архитектура Старого Города и Жилые Дома первой половины XIX столетия .
12. J. Baulig, M. Mania, H. Mildenberger, K. Ziegler, Architekturführer Tbilisi, Saarbrücken, 2004.